



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მმართველობა და წარმომადგენლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის  
საზოგადოებაში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

სალომე ასანიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2021

## შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
<b>თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<b>8</b>
<b>თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი</b>	<b>9</b>
2.1. საქართველოში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის ისტორიული მიმოხილვა	11
2.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და მისი ჩამოყალიბების ისტორია	12
2.3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოები	14
2.4. შეზღუდული პასუხისმგებლობის ზოგადი ნიშნები	17
2.5. შპს-ის პარტნიორების და დირექტორების უფლება-მოვალეობები	19
2.5.1. დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო	25
2.5.2. დირექტორის დანიშვნა	26
2.6. კომპანიების წარმომადგენლობა და მართვა	28
2.6.1. ქართული კანონი	29
<b>თავი III. საერთაშორისო კანონმდებლობა</b>	<b>33</b>
3.1. შპს-ის შედარებით სამართლებრივი ანალიზი გერმანიის სამართალში	33
3.2. შპს ამერიკული სამართლის მიხედვით	36
<b>თავი IV. სასამართლო პრაქტიკა</b>	<b>37</b>
<b>თავი V. კვლევის შედეგები</b>	<b>39</b>
დასკვნა	44
გამოყენებული ლიტერატურა	46

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებულ მმართველობისა და წარმომადგენლობის ფორმებზე მათ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაზე.

ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე რომელიც დაკავშირებულია მმართველობასა და წარმომადგენლობაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში.

განხილულია ქართული და უცხოური კანონმდებლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომი მოიცავ შესავალს, ხუთ თავს, თერთმეტ ქვეთავს, დასკვნას, რეკომენდაციას და გამოყენებულ ლიტერატურას პირველ თავში განხილულია გამოყენებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა,მ ეორე თავი ეხება მმართველობას და წარმომადგენლობას შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოების ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირებულ პრობლემების ანალიზს. დასკვნაში შეჯამებულია მოცემული თემა და შემოთავაზებულია რეკომენდაციები კანონში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## Annotation

### შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამართლის ისტორიაში. სწორედ ეს ინსტიტუტია, რომელიც აძლევს პირებს სტიმულს, თამამად წამოიწყონ სამეწარმეო საქმიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ეკონომიკაზე აისახება.

დამოუკიდებელი სამართლებრივი მეცნიერების განვითარება და მდიდარი ტრადიციების ჩამოყალიბება მეტწილად ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიითაა განპირობებული. ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოებრივი ცხოვრების ძალიან ცოტა გამოცდილება აქვს, გასაკვირი არ არის, რომ ქვეყნის განვითარება განსაზღვრული იყო იმ ქვეყნის განვითარების დონით, რომლის გავლენითაც თავად იყო მოცული.

**თემის აქტუალობა.** აღნიშნული თემის არჩევა მისმა აქტუალობამ განაპირობა. მის აქტუალობას ადასტურებს თვითონ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების რამდენიმეჯერ შეცვლა, რადგან ქართველი კანონმდებლები ცდილობენ, ზუსტად ასახონ და წარმოაჩინონ ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ შპს-ის ცნების ბოლო ფორმულირება სრულყოფილად ასახავს და გადმოსცემს მის დამახასიათებელ ნიშნებს.

#### **კვლევის მიზანი:**

- გავანალიზოთ ქართული და უცხოური კანონმდებლობა.
- გავავლოთ პარალელები ქართულ და უცხოურ კანონმდებლობას შორის.
- ჩამოვაცალიზოთ რეკომენდაციები კანონში არსებულ ხარვეზებზე.
- ჩამოვაცალიზოთ რეკომენდაციები ჩვენი კანონმდებლობის უცხოურ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით.
- საერთაშორისო და ქართული პრაქტიკის გათვალისწინებით ვიპოვოთ ხარვეზები.
- შემოგთავაზოთ რეკომენდაციები თუ რა გზით შეიძლება მოხდეს არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრა.

**კვლევის ამოცანა:** აღნიშნული მიზნების მისაღწევად ჩვენ დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- მიმოვიხილოთ ქართული და უცხოური კანონმდებლობა და ლიტერატურა, რათა მივაკვლიოთ ხარვეზებს.
- ჩავატაროთ კვლევა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.
- ამ ხარვეზების აღმოფხვრის დროს გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა.
- ხარვეზების აღმოფხვრის დროს გავითვალისწინოთ უცხოური კანონმდებლობა.
- პრაქტიკისა და კანონმდებლობის გათვალისწინებით ჩამოვაცალიზოთ რეკომენდაციები.
- სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეჯერება.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები:

**ისტორიული კვლევის მეთოდი,** ვინაოდან გაგვეანალიზებინა მმართველობა და წარმომადგენლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინსტიტუტმა დღეს არსებულ სამართლებრივ რეგულირებამდე რა გზა გაიარა. რა კანონმდებლობები შეიცვალა, იყო თუ არა იგივე შინაარსის ურთიერთობები შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტში რა სამართლებრივი შინაარსის მატარებელიცაა დღეს. რამდენად ხშირად ხდებოდა მისი გამოყენება პრაქტიკის თვალსაზრისით.

**შედარებითი მეთოდი**, რათა შეგვედარებინა სხვადასხვა ავტორების შეხედულებები, ასევე შეგვედარებინა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა და მთი პრაქტიკა ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან.

**სტატისტიკური მეთოდი**, ვინაიდან ნათლად დავინახოთ ჩვენს ქვეყანაში რამდენად მაღალია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებული მმართველობის დაწარმომადგენლობასთან არსებული პრობლემები თუ ხარვეზები და რამდენად ხშირადაა სასამართლოსთვის მიმართვიანობა შპს-ის მმართველობაში დარღვეული უფლებამოსილების მიმართვის თვალსაზრისით.

**სასამართლო პრაქტიკის გამოყენების მეთოდი**, ამ მეთოდის გამოყენებით ნათლად დავინახავთ სასამართლო როგორ უდგება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებული მმართველობის და წარმომადგენლობის ურთიერთობის განხილვისას, რა კრიტერიუმებია პრაქტიკაში დანერგილი, ძირითადადა რა პრინციპებით ხელმძღვანელობს სასამართლო წარმომადგენლი ან მმართველის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თუ მისი უფლების დარღვევისას.

სასამართლო პრაქტიკის მეთოდის გამოყენებით, გაანალიზებით და შეარებით დავინახავთ თუ როგორ წესრიგდება პრაქტიკაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველობასა და წარმომადგენლობაში დროს წარმოშობილი პრობლემები თუ ხარვეზები.

## **თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა**

სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებულ მმართველობის და წარმომადგენლობის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა: დ. ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი რომელიც მიძღვნილია ლადო ჭანტურიას 50 წლისთავისთვის სადაც საინტერესო მსჯელობაა გადმოცემული

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებულ მმართველობის ფორმებზე. ასევე ამ კუთხით საინტერესო მასალაა ლ.ჭანტურიას „კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში“ სადაც კარგად და თანმიმდევრობითაა საუბარი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არსებული მმართველობის და წარმომადგენლობის ფორმების ჩამოყალიბება-განვითარებასა და იმ რთულ გზაზე რაც ფორმულირების პროცესში კაიარა კანონმდებლობამ. ამ კუთხით ასევე საინტერესოა ი. ბურდულის ნაშრომი „სააქციო სამართლის საფუძვლები“ კერძოდ პირველი ტომი. რ. მიგრიაულის „შპს-ის გაკოტრების სამართლებრივ ასპექტებში“ ნათლადაა გადმოცემული ის რისკები და დარღვევები რაც მმართველობის პროცესში შეიძლება წარმოიშვას მმართველი ორგანოს ქმედების გამო. ამავე საკითხსე ეხმიანება ასევე ლ.ჭანტურიას „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა ხელმძღვანელობა საკორპორაციო სამართალში“. თანამედროვე და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი კარგადაა გადმოცემული და ფართო მსჯელობაა მოცემული ნ. ელიზბარაშვილი, ნ. ნავროზაშვილის „თანამედტოვე საკორპორაციო და პრაქტიკული საკითხებ“-ში. ამავე თემას ეხმაურება ნ. ბაქაქური, მ. გელტერი, ლ. ცერცვაძე, ვ. ჯუღელი ნაშრომში „საკორპორაციო სამართალი“.

ჩემთვის მეტად საინტერესო და ინფორმაციით სავსე იყო რ. მიგრიაულის „ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის. ნაშრომზე მუშაობისას და პრობლემური საკითხების ნათლად დასანახად ასევე ძალიან დამეხმარა ლ. ცერცვაძის „დირექტორის მოვალეობების კომპანიების შერწყმისას და საკონსტიტუციო პაკეტის გასხვისებისას“. ასევე ლ.ჭანტურიასა და თ. ნინიძის ნაშრომი თემაზე „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი“ და ნ. გულიაშვილის „საკორპორაციო სამართალი“.

გარდა ამისა ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალა, კერძოდ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ 1994 წლის მდგომარეობით.

ქართული ლიტერატურის მსგავსად ჩემთვის მეტად საინტერესო და ინფორმირებული აღმოჩნდა უცხოური ლიტერატურაც, კერძოდ ნაშრომში გამოყენებულია: Baumbach/Hueck, Gesetz, 15. Aufl. Munchen 1988, Dodd, The Evolution of Liability in American Industries, 61 Harv და ასევე ქართული და უცხოური კანონმდებლობის შედარებისთვის დამეხმარა გერმანიის კანონმდებლობა კერძოდ GmbHg.

ნაშრომში განხილულია ქართული თუ უცხოური არაერთი პრაქტიკა კავთებულია მათი ანალიზი და ასევე დამეხმარა ინტერნეტით მოძიებული მასალაც.

## თავი II. პრობლემის კვლევა და ანალიზი

### 2.1. საქართველოში არსებული ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის ისტორიული მიმოხილვა

კანონი, რომელიც საქართველოში შეიქმნა საზოგადოებაში სამეწარმეო საქმიანობის მოწესრიგების მიზნით იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ივლისს მიღებული კანონი: „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ - ეს იყო კანონი, რომელიც მეწარმეობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორმანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავდა.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ბატონიშვილის დ. სამართლის ინსტიტუტი, ლადო ჭანტურია 50, თბ., 2013. გვ.8



აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ რამდენიმე შემდგომი დადგენილება გამოსცა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის უფრო ფართომასშტაბიან მოწერსრიგების საკითხებს ადგენდა. ეს დადგენილებებია: „ადგილობრივი საწარმოს დებულების დამტკიცების შესახებ“, „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, „ინდივიდუალური მეწარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღსანიშნავია, რომ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძველების შესახებ“ კანონი ურთიერთობათა გაცილებით ფართო სპექტრს აწესრიგებს, ვიდრე მხოლოდ მეწარმე სუბიექტთა დაფუძნება, რეგისტრაცია, მათი ფორმები, შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების წესი გახლავთ. იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, შრომის კოდექსით, გარემოს დაცვით, საგადასახადო, სალიცენზიო და ანტიმონოპოლური კანონმდებლობით, ასევე, სხვა სპეციალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს მოიცავს.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა რომ კანონს უამრავი ხარვეზი ჰქონდა, ეს იყო პირველი ნორმატიული აქტი, რომელმაც სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა გააერთიანა, შეუქმნა მას ზოგადი ნაწილი, რომელიც ფაქტობრივად ყველა სამეწარმეო სუბიექტისთვის საერთოა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს კანონი არ იყო რომელიმე სამართლებრივი სისტემის ან კონრეტული ქვეყნის კანონმდებლობის პირდაპირი რეცეფციის ნაწილი. 90-იანი წლების შუაში განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეები, ასევე, შემდგომი ცვლილებები გერმანული და ამერიკული სამართლის გავლენით იყო განპირობებული.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძველების შესახებ კანონის მე-11 და მე-15 მუხლებში.

1991 წლის 25 ივლისის კანონი საკმაოდ ბევრ ფორმას ადგენს, ამავე დროს კანონმდებელამ მეწარმე სუბიექტთა მკაცრი მკაცრი სიის დადგენა უარყო და მე-11 მუხლით დაადგინა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში შეიძლება მოქმედებდეს აგრეთვე სხვა ისეთი საწარმო, მათ შორის ერთობლივი, რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას“<sup>3</sup>

სამეწარმეო საქმიანობისთვის კანონით ათი სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა იყო დადგენილი: ინდივიდუალური საწარმო, სრული სამეურნეო ამხანაგობა, შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ერთი

<sup>2</sup> ჭანტურია ლ., კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თბ., 1996. გვ. 36

<sup>3</sup> „სამეწარმეო საქმიანობის საფუძველის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მე-11 მუხლი, 25.07.1991 (ძალადაკარგული, 28.10.1994 წ)

პირის საწარმო, ადგილობრივი მუნიციპალური საწარმო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო.<sup>4</sup>

სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისთვის იურიდიული პირის სტატუსი აუცილებელი არ იყო. სახელმწიფო კონკრეტულ მეწარმე სუბიექტს იურიდიული პირის ფორმით დარეგისტრირებას არ ავალბდა. ჩამოთვლილი ფორმებიდან იურიდიულ პირს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, ერთი პირის საწარმო, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სახელმწიფო საწარმო, ადგილობრივი საწარმო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო განეკუთვნებოდა. ყველა მათგანი კაპიტალური ტიპის საწარმოა. კანონმდებელი პერსონალური პირის ტიპის საზოგადოებებს იურიდიულ პირად არ განიხილავდა.

აღსანიშნავია, რომ ლადო ჭანტურიას აზრით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამონათვალი ხელოვნურად იყო გაზრდილი ფუნქციურ-ტიპოლოგიურად მსგავსი წარმონაქმნები განცალკევებულ ტიპებად განიხილებოდა. აღნიშნული მოსაზრების განსამტკიცებლად ლადო ჭანტურია ამბობს, რომ ერთი პირის საწარმო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, არსობრივად ერთი და იგივეა. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ შეზღუდული პირის საზოგადოებას ერთზე მეტი, ხოლო ერთი პირის საწარმოს მხოლოდ ერთი მეწილე ჰყავდა.<sup>5</sup>

1994 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი მიიღო. იგი სამეწარმეო საქმიანობას ახლებური მიდგომით აწესრიგებდა და მასში ფწრმანული სულის სიმძაფრეც იგრძნობოდა.<sup>6</sup> იყო უფრო დახვეწილი და კონკრეტული.

2008 წლიდან მეწარმეთა შესახებ კანონმა კი ფუნდამენტური ცვლილება განიცადა. ლეგალური სამეწარმეო საქმიანობის ფორმები კანონმდებლობით მკაცრად განისაზღვრა და ყოველგვარი ავტონომია შეიზღუდა. ახალმა კანონმა თითოეულ ფორმას ამომწურავი განმარტება მისცა და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურად მოწესრიგდა. პერსონალურ საზოგადოებებს იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა.

მსოფლიო გლობალიზაციისკენ მიდის და თითოეული რეფორმა კაცობრიობაზე უდიდეს ნიმუშს ტოვებს. როგორც პუმანიტარულმა ასევე სოციალურმა და ტექნიკურმა მეცნიერებებმა უამრავი რეფორმა გაიარა, მანამ სანამ მრავალჯერ სახეცვლილი მოვიდოდა ჩვენამდე, ეს იყო ადამიანების უდიდესი შრომის შედეგი.

---

<sup>4</sup> იქვე მე-11 მუხლი

<sup>5</sup> ბატონიშვილის დ. სამართლის ინსტიტუტი, ლადო ჭანტურია 50, თბ., 2013. გვ. 11

<sup>6</sup> ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი პირველი, თბ., 2010. გვ. 94

## **2.2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება და მისი ჩამოყალიბების ისტორია**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბებას შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ გამოიწვია: ვინაიდან სს-ფორმა ბევრად უფრო რთული პროცედურული იყო ამიტომ მისი ჩანაცვლება ლიბერალით შედარებით კარგ ვარიანტად განიხილებოდა კანონმდებლობაში. ხოლო მეორე მიზეზად მიიჩნევა პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ცნებამ ქართულ სამართალში რამდენჯერმე განიცადა სახეცვლილება. კანონის თავდაპირველ რედაქციაში კანონის 44-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს შპს-ის ცნებას, ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით.“<sup>7</sup>

მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებებით ზემოთ მოცემული ცნებიდან ამოღებული იქნა წინადადების ბოლო ნაწილი, რომელიც მითითებას აკეთებდა პარტნიორის პასუხისმგებლობაზე. თუმცა 44-ე მუხლის სახეცვლილება ამით არ დამთავრებულა და 1999 წლის ივნისში კიდევ ერთხელ იქნა შეცვლილი აღნიშნული მუხლი. დღევანდელი მდგომარეობით კი შეზღუდული პასუხისმგებლობის ცნება გამოიყურება შემდეგნაირად: „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით“<sup>8</sup> ის ფაქტი რომ შპს-ის ცნება რამდენჯერმე შეიცვალა ადასტურებს ქართველ კანონმდებელთა მცდელობას, ზუსტად ასახოს და წარმოაჩინოს ამ საზოგადოების სამართლებრივი ბუნება. ქართული სამართლისგან განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ გერმანულ კანონში არ არის მოცემული შპს-ის ცნება, თუმცა გერმანელი მეცნიერები სხვადასხვა ინტერპრეტაციით გადმოცემენ შპს-ის ცნებას ლიტერატურაში.

გერმანულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ერთი ან რამდენიმე პარტნიორისგან შემდგარი საზოგადოება, რომელსაც აქვს შესატანება დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. ანდა: შპს არის სავაჭრო საზოგადოება საკუთარი სამართალსუბიექტურობით, რომელიც შეიძლება შეიქმნას კანონით ნებადართული ნებისმიერი მიზნისთვის და მისი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების ქონებით.<sup>9</sup>

ამრიგად ორივე ქვეყნის სამართალი და ლიტერატურა გარკვეულწილად მსგავსად გადმოსცემს შპს-ის ცნებას, რომელშიც ძირითადად გამოკვეთილია საზოგადოებისა და მისი პარტნიორების პასუხისმგებლობა. ამასთან, გერმანული შპს-ის მიზნები უფრო ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ მოგების მიღებაზე სწრაფვით, რაც დამახასიათებელია ქართული შპს-ისთვის.

<sup>7</sup> საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, გამომცემლობა JUS, თბილისი., 1994.

<sup>8</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 2020, 44-ე მუხლის 1 ნაწილი

<sup>9</sup> მიგრიაული რ. შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები. თბ., 2004. გვ. 13

როინ მიგრიაული თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ ამა თუ იმ ცნების მიზანია გადმოსცეს დახასიათებული ობიექტის (მოვლენის, ხდომილების და ა.შ) ზოგადი და კონკრეტული ნიშნები და განასხვავოს ის სხვა ობიექტისგან. თუმცა კონკრეტული ნორმატიული აქტი არ უნდა დაემსგავსოს სახელმძღვანელოს-იგი არ უნდა იქნეს ცნებებით გადატვირთული. კერძოდ, როდესაც ჩნდება სრულიად ახალი ობიექტი და სამართალურთიერთობებში დგება მისი მოწესრიგების აუცილებლობა, ან სახეცვლილება განიცადა უკვე არსებული ობიექტის შინაარსმა და საჭირო ხდება მისი შეცვლილი შინაარსის განმარტება, ანდა სხვადასხვა ობიექტი შინაარსობრივად იმდენად არის მიმსგავსებული ერთმანეთთან, რომ აუცილებელი ხდება დეფინიციებით მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. როგორც ობიექტის შინაარსი არ არის მუდმივი, ასევე არ არის მუდმივი მისი ცნებაც. ამიტომ კანონმდებელი ყოველ მხრივ უნდა ერიდოს მის ასახვას ნორმატიულ აქტში და იგი მიანდოს ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკას.“<sup>10</sup> - აღნიშნულ მოსაზრებას სრულიად ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ დღევანდელ ქართულ სამართალში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია იმისა, რომ ნორმატიულ აქტებში აისახოს მოსაწესრიგებელი ობიექტის ცნებები. ასევეა სამეწარმეო სამართალშიც, სადაც გადმოცემულია ყველა საზოგადოების , მათ შორის შპს-ის ლეგალური დეფინიციაც.

## 2.3 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის ორგანოები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ახასიათებს როგორც ზოგადი ისე კონკრეტული ნიშნები.

შპს-ის ზოგადი ნიშნებია: სამართალსუბიექტობა, მეწარმეობა, კორპორაციულობა კაპიტალობა (საწესდებო კაპიტალის ქონა), საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა. ხოლო კონკრეტული ნიშნები

---

<sup>10</sup> მიგრიაული რ. შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტი თბ., 2001. გვ. 14

ესაა: საწესდებო კაპიტალის შესატანად დაყოფადობა, პარტნიორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საზოგადოების ვალდებულებებისთვის და სხვა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართული სამართლის მიხედვით არის იურიდიული პირი რომელსაც აქვს საკუთარი ქონება და დამოუკიდებლად აგებს პასუხს. სწორედ ამიტომ შპს როგორც სამართლის სუბიექტი და არა მისი პარტნიორების არის ყველა უფლებების და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოხატავს პოულობს ზოგადუფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე კი შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებების და მოთხოვნების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, სხვა კომერციული იურიდიული პირის პარტნიორი და ა.შ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის სავალდებულოა მართვის ორი ორგანო: პარტნიორები, როგორც საზოგადოების ნების ჩამომყალიბებელი ორგანო და ხელმძღვანელი (დირექტორი), როგორც მოქმედი ორგანო.<sup>11</sup> სამეთვალყურეო საბჭო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის ფაკულტატურ ორგანოს წარმოადგენს გარდა იმ შემთხვევისა, როცა საუბარია ისეთ საზოგადოებაზე, რომელთა სამეთვალყურეო საბჭოში მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები სავალდებულო წესით მონაწილეობენ. ასეთ შპს-ში სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოა.<sup>12</sup> მისი ხელმძღვანელის სახელწოდებას წყვეტენ თვითონ ამ საზოგადოების პარტნიორები. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე დირექტორი, რომელიც ამავედროულად უნდა იყოს შეუზღუდავად ქმედუნარიანი პირი და მას არ უნდა გააჩნდეს თანამდებობის დაკავებისთვის ხელშემშლელი ფაქტორები (მაგალითად ნასამართლეობა, თანამდებობის დაკავების აკრძალვა და ა.შ). შპს-ის დირექტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც პარტნიორები ისე, გარედან მოწვეული პირებიც. საინტერესო და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაში როცა შპს-ის ახლავს სამეთვალყურეო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავედროულად იყოს საზოგადოების მმართველი ანუ საზოგადოები დირექტორი.

დირექტორის დანიშვნა ხდება პარტნიორების მიერ საზოგადოების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში სათანადო აღნიშვნის გაკეთებით. ე.ი დირექტორის დანიშვნის შესახებ აქტს დებულობს პარტნიორთა კრება (ფორმდება კრების ოქმი) აღნიშნული ოქმი ადასტურებს პარტნიორთა ნებას საწარმოს დირექტორად კონკრეტული პირის დანიშვნის შესახებ. დანიშვნის

<sup>11</sup> მენაბდიშვილი ს., შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სამოქალაქო სამართალ, თბ., 1999, გვ. 14

<sup>12</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006. გვ., 137

აქტი ძალას იძენს დირექტორის მხრიდან თანხმობისა და მისი მეწარმეთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. დანიშვნის აქტის საფუძველზე, მისი რეგისტრაციის მომენტიდან, პირი იძენს დირექტორის სტატუსს, იგი ხდება საწარმოს ხელმძღვანელი ორგანო და იძენს წესდებით, კანონმდებლობით და საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

იმ შემთხვევაში, როცა შპს-ის ახლავს სამეთვალყურეო საბჭო სამეთვალყურეოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების დირექტორიც.

დირექტორის დანიშვნის მეორე გზაც არსებობს და ეს გზაა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორის დანიშვნა, ეს ის შემთხვევაა როცა შპს-ის სავალდებულო ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და მისი შეცვლა საზოგადოების წესდებით პარტნიორებს არ შეუძლიათ.

კანონი არ აწესრიგებს დირექტორის უფლებამოსილების ვადას და აქედან გამომდინარე დირექტორი პარტნიორების თუ სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან შეიძლება დაინიშნოს როგორც განსაზღვრული ისე განუსაზღვრელი ვადით ანუ უვადოდ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის დანიშვნისას ერთმანეთისგან განასხვავებენ ორ სამართლებრივ აქტს. პირველი ეს არის საკორპორაციო-სამართლებრივი ანუ ორგანული აქტი და მეორე ეს არის სახელსეკრულებო-სამართლებრივი აქტი.

პირველისთვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ იგი შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს ხოლო მეორე ფაქტის მიმართ გამოიყენება სახელსეკრულებო სამართლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის წესები.

ჩვენ ვიცით, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი საზოგადოების მმართველი ორგანოა, რომელიც ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმეებს, წარმოადგენს მას მესამე პირთა ურთიერთობებში, მაგრამ მიუხედავად ამ ფაქტებისა მისთვის არაა დამოუკიდებლობის ისეთი დამახასიათებელი ხარისხი, როგორც აქვს მაგალითად სააქციო საზოგადოებაში გამგეობის წევრს. კერძოდ, შეზღუდული სააქციო საზოგადოების მართვისთვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ პარტნიორთა მითითებების შესრულება სავალდებულოა დირექტორებისთვის.

ამგვარად, გერმანულ საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სუბიექტს წარმოადგენდნენ შპს-ში დირექტორები და თუკი არსებობს სამეთვალყურეო საბჭო,

მაშინ მისი წევრებიც. პასუხისმგებლობა არ ვრცელდება საკონსტიტუციო საბჭოს წევრებზე, მსხვილ აქციონერებზე, მრჩეველსა და სხვა თანამდებობის პირებზე მაშინაც კი, როცა მათ ფაქტობრივად ისეთი გავლენა აქვთ, როგორც გამგეობის წევრებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ფაქტობრივ ორგანოდ იქნენ მიჩნეულნი. პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ არც იმ პირებს, რომლებიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად იღებენ მონაწილეობას საბჭოს საბჭოს სხდომაზე ან წერილობით გასცემენ საბჭოს წევრის ხმას. ეს აიხსნება მათი მხრიდან საზოგადოებასთან ორგანული კავშირის არ არსებობით.<sup>13</sup>

## 2.4 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი ნიშნები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ბუნების წარმოსაჩენად საჭიროა დახასიათებელი იქნეს შპს-ის ზოგადი და კონკრეტული ნიშნები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ზოგადი ნიშნებია:

---

<sup>13</sup> ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი., 2006. გვ., 140



1. სამართალსუბიექტობა.,
2. მეწარმეობა.,
3. კორპორაციულობა.,
4. კაპიტალურობა (საწესდებო კაპიტალის ქონა).,
5. საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კონკრეტული ნიშნებია:

1. საწესდებო კაპიტალის შესატანად დაყოფა.,
2. პარტნიორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა საზოგადოების ვალდებულებებისთვის და სხვა.

მეტი თვალსაჩინოებისთვის საჭიროა განვიხილოთ კონკრეტულად რას გულისხმობს პოგადი და კონკრეტული ნიშნები:

**სამართალსუბიექტობა**-საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.<sup>14</sup> ე.ი შპს-ის აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკიდებლად აგებს პასუხს. აქედან გამომდინარე სწორედ შპს წარმოადგენს სამართლის სუბიექტს და არა მისი პარტნიორები, ამასთან საზოგადოება არის ყველა უფლებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოიხატება ზოგად უფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებების და მოთხოვნების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, სხვა იურიდიული კომერციული პირის პარტნიორი და ა.შ. ასევე აღსაღნიშნავია ის ფაქტიც რომ შპს შეიძლება იყოს ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე თან ისე, რომ მისი წესდება არ უთითებდეს მსგავსი მონაწილეობის სახეობაზე და ფარგლებზე.

შეზღუდული სააქციო საზოგადოების უფლებაუნარიანობა იგივე სამართალსუბიექტობა იწყება შესაბამის რეესტრში მისი რეგისტრაციის თანავე. თუ ამ სამართლებრივ მონაკვეთში შევადარებთ ქართულ კანონმდებლობას გერმანულ კანონმდებლობასთან დავინახავთ რომ გერმანულ სამართალში მისი, როგორც იურიდიული პირის წარმოშობას ეს უკანასკნელი კანონმდებლობა უკავშირებს მის რეგისტრაციას სავაჭრო რეესტრში.<sup>15</sup>

აქვე დავამატებ იმასაც რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას გარდა ზოგადი და კონკრეტული უფლებამოსილებისა მას გააჩნია პროცესუნარიანობა რაც გამოიხატება იმაში, რომ

<sup>14</sup> კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 44

<sup>15</sup> Baumbach/Hueck, Gesetz, 15. Aufl. Munchen 1988, 10, Rdn.4, gv.160

შპს-ის შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს როგორც მოპასუხეთ ისე მოსარჩელედაც. პროცესზე იგი წარდგენილი იქნება დირექტორის მიერ ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები მიმართულია უშუალოდ შპს-ის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. თავისი სამართალსუბიექტობიდან გამომდინარე შპს არის ასევე გაკოტრებაუნარიანიც.

**მეწარმეობა** - საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განიხილავს როგორც მეწარმე სუბიექტს რომელიც მონაწილეობას იღებს სამეწარმეო საქმიანობაში. ამავე კანონმდებლობის მიხედვით მეწარმე სუბიექტისთვის დამახასიათებელი ნიშნებია მოგების მიზანი, საქმიანობის მართლზომიერება და არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა.<sup>16</sup>

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი შპს-ის მიიჩნევს სავაჭრო საზოგადოებად.<sup>17</sup>

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კორპორაცია** - შპს არის რათქმაუნდა გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა, რადგან იგი არ არის დამოუკიდებელი თავის პარტნიორებზე მათინდივიდუალურ თვისებებზე, აღნიშნული ფაქტი კი გამოიხატება იმაში, რომ პარტნიორის გარდაცვალება ან მისი გასვლა საზოგადოებიდან არ იწვევს საზოგადოების არსებობის შეწყვეტას ან მის დაშლას.<sup>18</sup>

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის კაპიტალური საზოგადოება** - იქედან გამომდინარე რომ შპს-ში პარტნიორის მონაწილეობა მასში დაფუძნებულია არა მათ შიდა შრომაზე, არამედ კაპიტალის ჩადებაზე - თითოეულ პარტნიორს შეაქვს განსაზღვრული ქონებრივი სესატანი ( კაპიტალი) საზოგადოებაში სპეციალურად ამისთვის შექმნილ კაპიტალში. საწესდებო კაპიტალი გამოყოფილია სწორედ საწესდებო კაპიტალად.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა** - აღნიშნული ფრაზა ნიშნავს იმას, რომ ის შემოიფარგლება მხოლოდ მთელი მისი ქონებით.

## 2.5 შეზღუდულის პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების და დირექტორების უფლება-მოვალეობები

<sup>16</sup> კანონი 'მეწარმეთა შესახებ'. მუხლი 1.1.

<sup>17</sup> GmbHg, 13.3

<sup>18</sup> კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 2.3

დღევანდელი სამართლებრივი მდგომარეობით პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხი შემდეგნაირად დგება, ისეთ შემთხვევაში თუ პარტნიორი ბოროტად არ იყენებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმებს. შესატანის სრულად შეუტანლობის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ შეუტანელი შესატანის ოდენობით, ხოლო თუ განვიხილავთ საპირისპირო შემთხვევას და პარტნიორი შეზღუდულ სამართლებრივ ფორმას ბოროტად გამოიყენებს ასეთ შემთხვევაში პარტნიორი სრულად აგებს მაშინაც კი როცა აღნიშნულ პარტნიორს შესატანი სრულად აქვს შეტანილი.

კომპანიაში, სადაც დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი პასუხისმგებელია უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. სათანადო წინაპირობის არსებობისას, დირექტორის პერსონალური უშუალოდ კომპანიის წინაშე შეიძლება დადგეს, რა დროსაც, დავის არსებობისას, კომპანიას მეტწილად პარტნიორები წარმოადგენენ.<sup>19</sup> ხოლო რაც შეეხება კომპანიის კრედიტორთა წინაშე დირექტორთა ანგარიშვალდებულებას ამ შემთხვევაში თვითონ საზოგადოება არის პასუხისმგებელი, სადაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა უშუალოდ კომპანიის პარტნიორის პერსონალური პასუხისმგებლობაც დადგეს იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ პარტნიორმა ბოროტად გამოიყენა კომპანიის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი საუბრობს ისეთ შემთხვევაზეც როცა არსებობს იმის ეჭვი, რომ დირექტორმა ფიდუციური ვალდებულების რომელიმე წინაპირობის დარღვევის შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის შეტანა შეუძლია დირექტორიის წინააღმდეგ თავად კომპანიას ან კიდევ ამ კომპანიის ერთ-ერთ პარტნიორს.

იმისთვის, რომ დადგეს დირექტორის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აუცილებელია გარკვეული წინაპირობის არსებობა რომელ წინაპირობასაც დაემყარება მომჩივანი კომპანიის არგუმენტები და თავის თავად სასამართლოს მისცემს ფართო შესაძლებლობას დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოსატანად.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ არეგულირებს დირექტორსა და კომპანიას შორის ურთიერთობებს კერძოდ ეს ურთიერთობები რეგულირდება საწარმოს წესდების და დირექტორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია კომპანიის წესდებაზე რომლის მიხედვით: „ პარტნიორები დებენ შეთანხმებას (წესდებას), რომლის საფუძველზედაც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. პარტნიორთა შეთანხმების (წესდების) ნაწილი, რომელიც შეიცავს ამ

<sup>19</sup> bm.ge/ka

კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს და რომელიც რეგისტრირდება რეესტრში, არის სარეგისტრაციო განაცხადი. პარტნიორთა შეთანხმება, რომლის რეგისტრაციაც არ არის სავალდებულო, იდება წერილობითი ფორმით და იგი შესრულდეს ნებისმიერ ენაზე (პარტნიორთა შეთანხმება(წესდება)).“<sup>20</sup>

ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: „ საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნონ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანიში იძლევა იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა.“<sup>21</sup> ამავე მუხლში საუბარია იმაზეც, რომ „თუ წესდებით/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილის ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად...“

კანონი მეწარმეთა შესახებ დირექტორს ავალდებულებს კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ შეასრულოს დაკისრებული ამოცანები. ხოლო თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.თუ დადგინდა ზიანის ფაქტი მაშინ დირექტორმა უნდა დაადასტუროს რომ ისინი საქმეს უძღვებოდნენ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. <sup>22</sup>

ლევან კოკაიას საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული 2018 წელს სადაც ის საუბრობს იმაზე, რომ „ დირექტორისთვის ფიდუციური ვალდებულების დარღვევის მტკიცებისთვის კანონმდებლობა არ არეგულირებს იმ ყველა შესაძლო შემთხვევას რომელიც პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა გახდებოდა. მსგავსი ვითარება გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ერთის მხრივ შეუძლებელია კანონმა ყველა შესაძლო შემთხვევა მოიცვას და მეორეს მხრივ, თავად კანონმდებლობა ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ პარტნიორებმა წესდების ან/და უფრო კონკრეტულად კი ხელშეკრულებით მოაწესრიგონ დირექტორებთან არსებული ურთიერთობები.“<sup>23</sup>

აღნიშნულ მოსაზრებას სრულად ვიზიარებ და ვთვლი ერთი მხრივ კარგია ის ფაქტი რომ კანონი არ გვაქცევს ჩარჩოებში და გვაძლევს თავისუფლებას კანონის ფარგლებში წესდებით მოვაწესრიგოთ მხარეთათვის მნიშვნელოვანი საკითხები და ამ გზით დავიცვათ თავი შემდგომი სავარაუდო პრობლემებისგან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საკითხი მწვავედება როდესაც

<sup>20</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>21</sup> იქვე მე-5 პუნქტი

<sup>22</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>23</sup> bm.ge/ka

დირექტორის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ კომპანიის წესდებაში საერთოდ არ არის ნახსენები დირექტორის ფუნქციები ან კიდევ ნახსენებია მაგრამ ისეა კანონიდან ციტირებული, რომ არსებითად ვერ სცემს კითხვებზე პასუხს თუ კონკრეტულად რა ევალება დირექტორს ან/და რაში ვლინდება დირექტორის ფუნქციები. ხოლო აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგება მაშინ როცა არ არსებობს დირექტორსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

„კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა კომპანიებს აძლევს რეკომენდაციას, რომ მათ აუცილებელი წესით დადონ დირექტორთან ხელშეკრულება, სადაც სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მკაფიოდ გათვალისწინებული იქნება დირექტორის უფლება-მოვალეობები, მისი დეტალური ფუნქციები პასუხისმგებლობის ფარგლები. გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს დირექტორსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის ან/და აქციონერთა კრებას შორის არსებული ურთიერთობის დეტალურ აღწერილობას.“<sup>24</sup>

ზემოთ აღნიშნულ ლევან კოკაიას სტატიაშივე ვკითხულობთ რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული ორი საქმიდან, რომელიც დირექტორთა პერსონალურ პასუხისმგებლობას შეეხებოდა, ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, ორივე საქმის ფაბულა მოიცავდა საწარმოთა საგადასახადო დავალიანებას, რა დროსაც მსჯელობის საგანი გახდა ამ საწარმოს დირექტორთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი. ერთ-ერთ საქმეზე დირექტორს დაეკისრა პერსონალური პასუხისმგებლობის „სოლიდარულად მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ“, ხოლო მსგავსი ფაბულის მომცველ სხვა საქმეში, სადაც კომპანიას ასევე გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, დირექტორს მსგავსი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. ორივე შემთხვევაში სასამართლო დაეყრდნო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, საქმის გარემოებებს და არსებულ მტკიცებულებებს.“<sup>25</sup>

აქვე დავამატებ აღნიშნულთან დაკავშირებით იმას, რომ დირექტორთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხთა გადაწყვეტის თვალსაზრისით ქართული სასამართლო პრაქტიკა მწირია და შესაბამისად მეტად რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის პარტნიორებს და ასევე კომპანიის დირექტორსა თუ დირექტორებს.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ და ასევე კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ განსაზღვრავენ როგორც კერძო ისე ზოგად შემთხვევებს თუ რა შემთხვევაში დგება დირექტორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

<sup>24</sup> [bm.ge/ka](http://bm.ge/ka)

<sup>25</sup> იქვე [bm.ge/ka](http://bm.ge/ka)

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მიუთითებს პასუხისმგებლობის შემდეგ ზოგად საფუძველებს: „ საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალება დირექტორებს. დირექტორებმა კეთილსინდისიერდა და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობა, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.“<sup>26</sup>

რაც შეეხება დირექტორების სამართლებრივი პასუხისმგებლობის კერზე საფუძველებს საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ არის საუბარი. საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ მე-9 მუხლის მე-5 ნაწილში საუბარია დირექტორების ინტერესთა კომფლიქტზე კერძოდ, დირექტორებს არ აქვთ უფლება პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<sup>27</sup>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველ ორგანოებს საქართველოს კანონმდებლობა ასევე აკისრებს ინფორმაციის კომფიდენციალურად შენახვის ვალდებულებას: „... პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არ აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობის შესრულების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.“<sup>28</sup>

საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველ ორგანოებს ასევე აკისრებს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების ვალდებულებას: „ თუ საწარმო გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა, „ რეაბილიტაციისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უნდა განაცხადონ ამის თაობაზე“<sup>29</sup>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მმართველი ორგანო საქართველოს კანონმდებლობით ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს პარტნიორებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ: „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“

<sup>26</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 56-ე მუხლის 1 და 4 პუნქტი

<sup>27</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი

<sup>28</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

<sup>29</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი

საქართველოს კანონით განსაზღვრული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, ყოველწლიურად უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშების/კონსოლიდირებული ანგარიშების აუდიტის განხორციელება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ, საქართველოს კანონი შესაბამისად აუდიტის განხორციელებაში მეწარმე სუბიექტის აქციონერების/პარტნიორების, მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩარევამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტის დამოკიდებულებასა და ობიექტურობას. მეწარმე საუბიექტის მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენისთვის“<sup>30</sup>

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის ე ქვეპუნქტში საუბარია კომპანიის წლიური ანგარიშის და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ვალდებულებაზე: „სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიში და სამეურნეო ანგარიშის რომელი ნაწილი და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებამ საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილება.“<sup>31</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოკლედ რომ შევაჯამოთ საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის მმართველ ორგანოებს ზოგადი ფუნქციების გარდა შპს-ის დირექტორის პასუხისმგებლობის კონკრეტულ არეალს გვაძლევს, რაც ჩემი აზრით შპს-ის მმართველობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, კანონმდებლობა დეტალურად ვერ ჩამოთვლის ყველა შესაძლო შემთხვევას, სწორედ ამ ფაქტის დასარეგულირებლად პარტნიორებს შეუძლიათ გარკვეული საკითხები მოაგვარონ ურთიერთშეთანხმებით წესდებაში ან/და დირექტორთან დადებულხელშეკრულების მეშვეობით.

<sup>30</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მე-13-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები

<sup>31</sup> საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის ე ქვეპუნქტი

### 2.5.1 დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო

დირექტორი სამეწარმეო საზოგადოების მართვის აუცილებელი ორგანოა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების საქმიანობის სწორად წარმართვაში.<sup>32</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“-ში შეტანილი ცვლილების შედეგად სამეთვალყურეო საბჭო სავალდებულო ორგანოს აღარ წარმოადგენს შესაბამისად დირექტორის ქმედებები მკაცრად აღარ კონტროლდება რაც ჩემი აზრით ასეთი მართვის სისტემა არც ისე მიმზიდველია

---

<sup>32</sup> ელიზბარაშვილი ნ., ნავროზაშვილი ნ., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები., თბ., 2009, გვ. 309



ინვესტორებისთვის. დირექტორის უფლებები და ამავდროულად ფუნქციები გაზრდილია თუმცა კონტროლი შესუსტებული.

საქართველოში კორპორაციული მართვის გამოცდილებისა და კულტურის სიმცირის გამო, დირექტორები სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერები „ხიდის“ ერთ მხარეს არიან, საწარმოში დასაქმებული მუშაკები კი ამ „ხიდის“ მეორე მხარეს. დამკვიდრებული პარტიკის შსაბამისად, დირექტორი უნდა ასრულებდეს აქციონერთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მითითებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამსახურს დაკარავს. აღნიშნული პრაქტიკა რა თქმა უნდა არ შეესაბამებ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის დანაწესს, რომლის თანახმადაც, საზოგადოების ხელმძღვანელის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად.<sup>33</sup>

დირექტორი უნდა იყოს კარგი მედიატორი და იმოქმედოს საზოგადოების პარტნიორებისა და თანამშრომლების ინტერესების სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად, იმის მიუხედავად, ხიდის რომელ მხარეს დგას იგი.<sup>34</sup>

## 2.5.2 დირექტორის დანიშვნა

საერთო წესიდან გამომდინარე აქციონერთა კრებაზე კენჭისყრა პირდაპირი ხმის მიცემით ხდება და ერთი აქცია ერთ ხმას უდრის უმრავლესობაში მყოფ აქციონერს შეუძლია აირჩიოს დირექტორის ყველა წევრი.<sup>35</sup>

თუმცა მინორიტარი აქციონერის დაცვის მიზნით შესაძლებელია, რომ წესდებით გათვალისწინებული იყოს კუმულაციური წესით, რაც უმცირესობაში მყოფ აქციონერებს აძლევს

---

<sup>33</sup> გვ 76

<sup>34</sup> იქვე

<sup>35</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი 9

საშვალებას, დირექტორის პოზიციაზე აირჩიონ სასურველი კანდიდატი. ხმის მიცემის კუმულაციური მეთოდის გამოყენება საშვალებას აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერებს, მიაღწიონ იმაზე მეტი სასურველი კანდიდატის დანიშვნას, ვიდრე მათ ამის საშვალებას საკუთრებაში არსებული აქციების ოდენობა აძლევს. ასეთ შემთხვევაში აქციების ოდენობა პოზიციაზე დამტკიცებული დირექტორების ოდენობა ერთმანეთს პროპორციულად არ ემთხვევა.<sup>36</sup> თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ აღნიშნულ ორგანოს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება დირექტორის დანიშვნის და ასევე მისი გათავისუფლების. თუმცა აქციონერებსაც აქვთ უფლება დირექტორის გათავისუფლების იმ შემთხვევასი თუ სამეთვალყურეო საბჭო გარკვეული მიზეზების გამო ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას ან კიდევ შეიძლება არ ასრულებდეს თავის უფლებამოსილებას.

დირექტორი შპს-სი ახორციელებს მომსახურებას შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. თუმცა თუ პრაქტიკას გადავხედავთ დავინახავთ, რომ ასეთი ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება ძირითადად მოწესრიგებულია წერილობითი ფორმით. აღნიშნული ხელშეკრულება წესრიგდება სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი პრინციპებითა და კერძოდ მომსახურების მარეგულირებელი ნორმებით. დირექტორი არ არის ჩვეულებრივი თანამშრომელი და შესაბამისად შრომის კანონმდებლობით თანამშრომლობის დასაცავად დაწესებული ნორმები არ ვრცელდება დირექტორზე. პარტნიორთა იგივე აქციონერთა კრება იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პირის დირექტორად დანიშვნაზე. საინტერესოა ამ მხრივ გერმანული კანონმდებლობა სადაც დირექტორმა უნდა განაცხადოს თანხმობა იმისთვის რომ დაიკავოს დირექტორის პოზიცია.<sup>37</sup>

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა (პირებთა), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებით და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.“<sup>38</sup> - აღნიშნული დებულება ნათლად არ მიუთითებს კერძოდ რის საფუძველზე წარმოიშობა ურთიერთობა დირექტორსა და კომპანიას შორის. კითხვა არის ის თუ რას სახის და შინაარსის ხელშეკრულება იდება ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და კომპანიას შორის?

<sup>36</sup> ბაქაქური ნ. გელტერი მ. ცერცვაძე ლ. ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი, თბ., 2019. გვ.77

<sup>37</sup> იქვე გვ.78

<sup>38</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი

სამართლებრივი ურთიერთობა დირექტორთან მყარდება სამართლებრივი აქტის, დანიშვნის შესახებ ბრძანების და მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>39</sup> თუმცა კომპანიის წინაშე ვალდებულების წარმოშობისთვის საკმარისია დანიშვნის შესახებ ბრძანება. დირექტორის დანიშვნის აქტი გამოიცემა პარტნიორთა გადაწყვეტილებასთან ერთად, ხოლო თუკი არსებობს სამეტვალყურეო საბჭო მაშინ ასეთი აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანოა სამეტვალყურეო საბჭო. კომპეტენტური ორგანოს მიერ დირექტორის დანიშვნა არ განიხილება ვალდებულებით სამართლებრივ ჭრილში იგი მოხსენიებულია როგორც საკორპორაციოსამართლებრივი აქტი.<sup>40</sup>

„დანიშვნის აქტის საფუძველზე დირექტორი თავად იქცევა კომპანიის აღმასრულებელ ორგანოდ, რომელიც შრომით ურთიერთობებში შედის სხავ თანამშრომლებთან. ამგვარად, იგი განსხვავდება შრომით სამართალში არსებული ურთიერთობებისგან, მაგალითად, სამიშაოზე მიღება და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დირექტორის დაქირავებასთან მიმართებით არ გამოიყენება შრომის კოდექსი რაზეც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა 2008 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდეც უთიტებდა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დირექტორისთვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაანთავისუფლონ დირექტორი და ასეთ შემთხვევებში შრომის კანონთა მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს.“<sup>41</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ დირექტორსა და საწარმოს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც კორპორაციულ, ასევე შრომითი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობების სადავოდ გამხდარი და შესაგასებელი, ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს შესაბამისი სამართლებრივად მოწესრიგებული ნორმები.<sup>42</sup>

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, საზოგადოების დირექტორის ან სამეტვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები

<sup>39</sup> მიგრიაული რ., ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის, თბ. 2003, გვ. 31

<sup>40</sup> იქვე

<sup>41</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N3k/350-01, 30.03.2001.

<sup>42</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N2b/6571-14.

საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს. საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამეწარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მხოლოდ ის საკითხი რაც არ არის მოწესრიგებული „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, საზოგადოების წესდებით ან თავად გირექტორთან/ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი“<sup>43</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე ხაზგასმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რომლითაც უნდა განისაზღვროს მისი ანაზღაურება და სხვა პრივილეგიები. ასევე ცალსახად ჩანს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

## **2.6. კომპანიების წარმომადგენლობა და მართვა**

### **2.6.1. ქართული კანონი**

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დირექტორის პირდაპირი და უმთავრესი ვალდებულება არის კომპანიის ეფექტური მართვა და წარმომადგენლობა მესამე პირებთან. აღნიშნული საკითხები კომპანიის წევრებმა შეიძლება მოაწესრიგონ წესდებით თუმცა წესდებით არ შეიძლება შეიცვალოს კანონის იმპერატიული ნორმებით დადგენილი წესები.

კომპანიის წესდებით დირექტორს შეიძლება მიენიჭოს იმგვარი უფლებამოსილება, რომ საზოგადოება მართოს ერთპიროვნულად მაგრამ ამავედროულად ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შესაძლოა შეიზღუდოს სამეთვალყურეო საბჭოს აუცილებელი თანხმობის დაწესებით. აღნიშნულ წესზე შეიძლება კომპანიის წევრებმა მიუთითონ საზოგადოების შინაგანწესებშიც.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება რომლის თანახმად ასეთ შემთხვევაში კონტრაქტი ხელშეკრულების დადებისას უნდა დაინტერესდეს, დირექტორს აქვს თუ არა ამ ხელშეკრულების დადების უფლება და თუ აღმოჩნდება ისე რომ მას ამ ქმედების განხორციელების უფლება დამოუკიდებლას არ აქვს მაშინ კონტრაქტმა უნდა მოითხოვოს

---

<sup>43</sup>ბაქაძური ნ. გელტერი მ. ცერცვაძე ლ. ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი, თბ., 2019 წ. გვ.79

დამატებითი დოკუმენტი ნოტარიულად დამოწმებული რომლის მიხედვითაც დირექტორს ენიჭება უფლებამოსილება ქმედების განხორციელების.<sup>44</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნუკი საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტა. კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მესამე პირი რომელიც შედის საწარმოსთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში არ არის ვალდებული შეამოწმოს საწარმოს შიდა კორპორაციული დოკუმენტები. სასამართლო აღნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნებოდა ეფექტური სამოქალაქო ბრუნვის არსებობა თუ ყველა კონტრაქტს მოვთხოვდით გარკვეულიყვნენ კონკრეტული საწარმოს შიდა პროცედურებში და საწარმოს შიდა უფლებამოსილებების გამიჯვნაში. ასეთი მიდგომა დააბრკოლებდა გარიგების მარტივად და ეფექტურად დადების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად გაზრდიდა მხარეების ტრადიციულ ხარჯებს.<sup>45</sup>

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს ლ. ცერცვაძეს ის ამბობს, რომ „თუკი დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ მონაცემებს არ შეიცავს კომპანიის შესახებ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებითაც დგინდება, რომ ხელშემკვრელი მხარისთვის დირექტორის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ ცნობილი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ანუ ხელშემკვრელი მხარე კეთილსინდისიერია მაშინ კომპანია ვერ მოითხოვს დირექტორის მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილობას ამ საფუძველით“<sup>46</sup>

ზემოთ აღნიშნულ საკონსტიტუციო საქმეზე კი სასამართლომ შემდეგი შინაარსით ჩამოაყალიბა გადაწყვეტილება, აღნიშნა, რომ სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კონტრაქტის ინტერესების დაცვის მიზნით, სანამ საპირისპირო დასტურდება, უნდა არსებობდეს პრეზუმცია, რომ კონტრაქტმა არ იცოდა შეზღუდული უფლებამოსილების შესახებ.<sup>47</sup>

ნ. ბაქაძური, მ. გელტერი, ლ. ცერცვაძე და გ. ჯუღელს ნაშრომში „საკორპორაციო სამართალ“-ში ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვთ გაუღებებული: ბიზნეს სამყარო საოცრად სწრაფად იცვლება და დირექტორებს უნდა ჰქონდეთ დისკრეცია, ოყენენ მოქნილები, რათა კომპანიის საუკეთესო ინტერესებით იმოქმედონ. დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს დირექტორთა

<sup>44</sup> ნორმის ამგვარი დეფინიცია დამკვიდრებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთიანი პრაქტიკით (მითითება კეთდება საქმეზე – SCG N3k-1492-02, მარტი, 19, 2003), საქმე Nas-495-471-2013.

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/543, ვებგვერდი, 14.02.2014.

<sup>46</sup> ცერცვაძე ლ., დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბ. 2016.

<sup>47</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/543, 14.02.2014

პასუხისმგებლობას, უცხოა ქართული კანონმდებლობისთვის. თუმცა აღნიშნული დებულება მნიშვნელოვანი დებულებაა, რომელიც ხელს შეუწყობს დირექტორს, რომ მიიღოს სარისკო გადაწყვეტილებები. აი მაგალითად თუკი დირექტორი კეთილსინდისიერად მიიღებს სარისკო გადაწყვეტილებას სრული და საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე და ამავე დროს იმ რწმენით, რომ ასეთი ქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებშია, ის დაცული უნდა იყოს პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუკი მისი გადაწყვეტილება არ აღმოჩნდება წარმატებული. ასეთი დებულება მიღებულია უკვე დელავერში და შესაძლოა, სამომავლოდ პოზიტიური როლი შეასრულოს კარგი კორპორაციული მართვის დასამკვიდრებლად საქართველოში.<sup>48</sup>

დირექტორის პასუხისმგებლობის შეზღუდვა, ზოგადად, ცნობილია აშშ-ში. როგორც ჰანკმა თქვა, „პრინციპული საჯარო წესრიგის საკითხი დირექტორთა და მმართველთა პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ კანონმდებლობაში არის დირექტორთა გამართლებული ქმედების ეკონომიკური ხარჯის განაწილება. დირექტორის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ყველა კანონმდებლობაში, გარდა ახალი მექსიკისა, პასუხისმგებლობა არის ან შეიძლება იყოს შეზღუდული, სულ მცირე, მარტივი დაუდევრობისა და უხეში დაუდევრობისთვის. ზოგიერთ შტატში პასუხისმგებლობა კიდევ ფართოდ შეიძლება შეიზღუდოს.“<sup>49</sup>

საინტერესოა დელავერის საკანცლერო სასამართლოს განცხადება, სადაც საუბარია ბიზნესის სამყაროზე, იგი აღნიშნავს, რომ ბიზნესის სამყაროში ხშირად ადამიანებს უწევთ მოქმედება არასრულყოფილი ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე. დელავერის სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ იგი დავინახავთ, რომ იგი ცალსახად იცავს დირექტორებს, იმ შემთხვევაში როცა კონკრეტული ტრანზაქციების ვადები არ არის საკმარისი საკითხის კომპლექსური შესწავლისთვის. თუმცა აუცილებელია დაკმაყოფილდეს რამდენიმე პირობა: პირველი პირობა არის, რომ ქმედება რომლის განხორციელებასაც ის აპირებს კომპანიის საუკეთესო ინტერესებში უნდა იყოს. „ზღვარი დირექტორთა მიერ თავიანთი ვალდებულების დარღვევისას და სარისკო გადაწყვეტილების მიღების დირექტორთა ბუნებრივ უფლებას შორის არ არის ნათელი.“. ამ მხრივ რთულია, მოძიების აბსტრაქტური პრინციპი. ამიტომ პრობლემა უნდა გადაწყდეს თითოეულ საქმესთან მიმართებით.<sup>50</sup> აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა საინტერესოა დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, აი მაგალითად აშშ-ში სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისებურებას აქვს უდანაშაულობის

<sup>48</sup> ბაქაძური ნ. გელტერი მ. ცერცვაძე ლ. ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი, თბ., 2019 წ. გვ.92

<sup>49</sup> იქვე

<sup>50</sup> Welch, Edward P; Turezyn Andrew J., ფოლკი დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართლის შესახებ, საფუძვლები, 2005 წ, „aspen publisher“, 2005, გვ.107.

პრეზუმფცია, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსარჩელემ დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს დირექტორის მხრიდან ფიდუციური ვალდებულების დარღვევის ფაქტი, ის, რომ იგი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა.<sup>51</sup>

ამერიკული სასამართლო პრაქტიკის მიერ დაუშვებლად სიმკაცრედ იქნა მიჩნეული დირექტორის მიმართ აბსოლიტური შეუმცდარობის მოთხოვნა.<sup>52</sup>

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმიანობას უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ ზრუნავდნენ ისე როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირადად და უშუალოდ. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად.<sup>53</sup>

ქართული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ სტანდარტებს ადგენს და დირექტორს არ სთხოვს აბსოლიტურად შეუმცდარი გადაწყვეტილების მიღებას. ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას დირექტორი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და გონიერების ფარგლებში. აღნიშნულ ნორმას შეიძლება, რომ კრიტიკულადაც შევხედოდ იმ თვალსაზრისით, რომ არ არის დადგენილი, სად გადის გონიერების ზღვარი, არ არის ნორმით განსაზღვრული ის კონკრეტული პრინციპები რომელიც უნდა დაიცვას დირექტორმა გადაწყვეტილების მიღებისას. აქედან გამომდინარე გამოდის ის, რომ სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა განიხილოს და შესაფასოს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მდიდარი პრაქტიკა აქვს დელავერის სასამართლოს. ითვლება, რომ აქ ყველაზე მეტად არის გარანტირებული დირექტორთა უფლების დაცვა.

როგორც უკვე აღინიშნა 2008 წელს მეწარმეთა შესახებ კანონმა განიცადა საკანონმდებლო ცვლილება და ამის შედეგად დირექტორის როლი კორპორაციულ მართვაში გაიზარდა, მაგრამ ახლა ვდგავართ

<sup>51</sup> ბაქაძური ნ. გელტერი მ. ცერცვაძე ლ. ჯუღელი გ. საკორპორაციო სამართალი, თბ., 2019 წ. გვ.95

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ მუხლი მე-9

ახალი პრობლემის წინაშე და იმისთვის, რომ შპს-ის მმართველმა ორგანომ უფრო გაბედულად მიიღოს კანონის ფარგლებში გადაწყვეტილებები მოსარჩელეს უნდა დაეკისროს მტკიცების ტვირთი, როგორც ეს არის მაგალითად დელივერიდ სასამართლო პრაქტიკაში.

### **თავი III. საერთაშორისო კანონმდებლობა**

#### **3.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შედარებით- სამართლებრივი ანალიზი გერმანიის სამართალში**

საქართველოს საკანონმდებლო სივრცისგან განსხვავებით გერმანულ კანონმდებლობაში არ გვაქვს მოცემული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება. თუმცა გერმანულ მეცნიერებაში სხვადასხვა ინტერპრეტაციითა გადმოცემული ცნების მნიშვნელობა. ეს



შესაძლებელი გახდა შპს-ის შესახებ კანონის სხვადასხვა მუხლზე დაყრდნობით, რომელშიც გადმოცემულია შპს-ისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა კრიტერიუმები.

გერმანულ ეკონომიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში შპს პირველად მე-19 საუკუნის ბოლოს იქნა შემოღებული, როდესაც 1892 წელს მიღებული იქნა სპეციალური კანონი შპს-ის შესახებ. შპს-ის სამართლებრივი ფორმის დამკვიდრებით კანონმდებელს სურდა სააქციო საზოგადოების გვერდით შეექმნა კაპიტალური საზოგადოების მეორე ფორმა, რომელშიც კაპიტალის ჩადება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო პირადი აქტიურობისა და რისკის გარეშ. კანონის შემოღების შემდეგ სწავლა გაგრძელდა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე. ეს ფორმა მალე გავრცელდა როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალში.<sup>54</sup>

გერმანიაში ცალკე არსებობს კორპორაციული მართვის კოდექსი იგი მიღებულია 2002 წელის 26 თებერვალს გერმანიის ფედერალური იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილიკომპანიის მიერ. ხსენებული კოდექსი კანონს არ წარმოადგენს, არამედ როგორც დისპოზიციური ხასიათის აქტი, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის ნორმების კრებულია.

გერმანიის კანონმდებლობაში გაბატონებული შეხედულებით შპს არის ერთი ან რამდენიმე პარტნიორისგან შემდგარი საზოგადოება, საკუთარი სამართალსუბიექტობით, რომელსაც აქვს შესატანად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. ან შეპესე არის სავაჭრო საზოგადოება საკუთარი სამართალსუბიექტობიტ რომელიც შეიძლება შეიქმნას კანონით ნებადართული ნებისმიერი მოქმედებისთვის, მიზნებისთვის და მისი ვალდებულებებისთვის ასევე კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოების ქონებით.

ქართულ და გერმანულ სამართალს ბევრი საერთო ნიშნები გააჩნიათ, როგორც ქართული ისე გერმანულ სამართალსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს.მას როგორც ასეთს აქვს საკუთარი ქონება, რომლითაც იგი დამოუკუდებლად აგებს პასუხს. ამიტომ შეპესე როგორც სამართლის სუბიექტი და არა მისი პარტნიორები, არის ყველა უფლებებისა და მოვალეობის მატარებელი, რაც გამოსავალს პოულობს ზოგად უფლებაუნარიანობაში. ზოგადი უფლებაუნარიანობიდან გამომდინარე კი შპს შეიძლება იყოს ნივთების მესაკუთრე, უფლებებისა და მოვალეობების მფლობელი, ხელშეკრულების მხარე, მემკვიდრე, სხვა კომერციული იურიდიული პარტნიორები და ა.შ. ზოგადი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შპს-მ შეიძლება განახორციელოს ნებისმიერი მართლზომიერი, მათ შორის წესდებით

<sup>54</sup> მიგრიაული რ, შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2004, გვ. 14

გაუთვალისწინებელი საქმიანობა, იქცეს ნებისმიერ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ისე რომ მისი წესდება ამას არ ითვალისწინებდეს.<sup>55</sup>

გერმანულ სამართალში შპს-ის როგორც იურიდიული პირის წარმოშობა უკავშირდება მის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. გერმანულ სამართალში შპს მიიჩნევა სავაჭრო საზოგადოებად.

ერთადერთი და საინტერესო განსხვავება გერმანულ და ქართულ კანონმდებლობას შორის რომელიც თავს იჩენს ქართულ და გერმანულ შპს-ებს შორის არის, საქმიანობის მიზანი. ქართული სამართლის მიხედვით შპს-ის დამახასიათებელი ნიშანია მოგების მიღების დანიშნულება გერმანული სამართალი იგი მეწარმეს არ შემოზღუდავს რაიმე კონკრეტული მიზნით. ანუ გერმანული კანონმდებლობის მიხედვით შპს შეიძლება შეიქმნას მოგების მიღების მიზნის არქონის შემთხვევაშიც ქართული სამართლისგან განსხვავებით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაუქმების ინსტიტუტი საფუძვლიანად არ არის დამუშავებული გარდა უმნიშვნელო გამონაკლისისა.

გერმანული სამართალი და თეორია არ გულისხმობს შპს-ის გაუქმებით მისი არსებობის საბოლოო დასრულებას. გაუქმება შეიძლება მიზეზად იქცეს საზოგადოების არსებობის დამთავრებას, მის სრულ მოსპობას. კაპიტალურ საზოგადოებაში გაუქმება გამოხატულებას პოვნებს, ერთი მხრივ, გაუქმების ან გაუქმების შედეგების გადაწყვეტილებაზე არსებობაზე, ხოლო მეორე მხრივ გაურკვეველი ხდომილების დადგომაზე. გაუქმების მეშვეობით შპს-ს ასე უბრალოდ არ ქრება ჰაერში. გაუქმება როგორც უკვე აღინიშნა, იქმნება სამართლებრივი წინაპირობა იმისთვის, რომ შპს ორგანიზებულად მივიდეს თავისი არსებობის დამთავრებამდე და სამართლებრივად სულ მოსპობამდე. თავისი არსებობის სეწყვეტამდე საზოგადოება საფუძვლიანად უნდა დაასრულოს არსებული სამართლებრივი ურთიერთობა.

აღსაღნიშნავია, რომ გერმანულ სამართალში გაუქმებასა და ლიკვიდაციის განსხვავებას განაპირობებს ამ უკანასკნელის პრაქტიკული ხასიათი.

ლიკვიდაცია წარმოადგენს პრაქტიკული ღონისძიებების ერთობლობას რომელიც ხორციელდება ლიკვიდატორის მიერ. ხოლო გაუქმება კი განიხილება ლიკვიდაციის თეორიული წინაპირობა. მათ განსხვავებულობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ გაუქმების პროცესის მონაწილეებად გვევლინებიან შპს-ის პარტნიორი ან სასამართლო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გაუქმების შესახებ, ხოლო ლიკვიდაციის ძირითად მონაწილედ გვევლინება ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს შპს-ის დირექტორი ან დაც მესამე პირიც კი.

<sup>55</sup> მიგრიული რ, შპს-ის გაკოტრების სამართლებრივი ასპექტი, თბ., 2004, გვ.114

<sup>56</sup> ჭანტურია ლ. ნინიძე თ. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბ.1996, გვ, 141

მიუხედავად იმისა რომ გაუქმება და ლიკვიდაცია სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებია, ქართულ სამეწარმეო სამართალში დღემდე ვერ მოხერხდა ამ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ინსტიტუტის ურთიერთ გამიჯვნა და ერთი ცნებით „ლიკვიდაციით“ არი გადმოცემული.

რომ შევაჯამოთ გერმანული და ქართული სამართალი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კანონით მოწესრიგების თვალსაზრისით ნათლად დავინახავთ რომ ამ ორი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეებს შორის აღნიშნული კუთხით დიდი განსხვავებაა არაა. ლიტერატურა გარკვეულწინად საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად აწესრიგებს შპს-ის ცნება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული შპს-ის მიზნებუ გაცილებით უფრო ფართოა ქართული კანონმდებლობით მოწესრიგებულ მიზნებთან შედარ

### **3.2 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ამერიკული სამართლის მიხედვით**

ამერიკულ სამართალში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის შექმნას და ფუნქციონირებას აწესრიგებს მოდელური კანონი, რომელიც არ არის ფედერალური კანონი, ამიტომ თითოეული შტატი თვითონ განსაზღვრავს თუ რომელ გზას აირჩევს მოდელური მოდელური

კანონმდებლობით იხელმძღვანელებს თუ დამოუკიდებელი მოწესრიგების გზით წავა, გარდა აღნიშნულისა აშშ-ში სამართლის წყაროს სასამართლო გადაწყვეტილებაც წარმოადგენს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამერიკულ სამართალში დამკვიდრდა ახალი ბიზნეს-სამართლებრივი ფორმა, რომელიც ახალი ეკონომიკური გამოწვევის საფუძველი გახდა. საუბარია ე.წ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობაზე. ქართული სამართალი ასეთ დაყოფას არ იცნობს.<sup>57</sup>

ამერიკული საკორპორაციო სამართალი ეფუძნება ბრიტანულ საკორპორაციო სამართალს, რომელიც თავის მხრივ საფუძველს იღებს რომანული და კანონიკური სამართლიდან.<sup>58</sup>

1848 წელს ნიუ იურკის კონსტიტუციის განხილვის დროს გაჟღერდა მოსაზრება, რომ თუ არ მოხდებოდა შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის შემოღება, კორპორაციებში ინვესტირება დარჩებოდა მხოლოდ მდიდარი ინვესტირების პრივილეგიად, დემოკრატიის მიზანი კი არ იყო მდიდარი კაცის კიდევ უფრო გამდიდრება.

## თავი IV. სასამართლო პრაქტიკა

### 4.1. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა

კორპორაციული მართვის კულტურის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს ეხმარება სასამართლო პრაქტიკაც კანონთან და პარტნიორთა შეთანხმებებთან ერთად.

2015 წელს ე. თბილისის საქალაქო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიღო საწარმოს წესდების ცვლილების განჩინება N 35-32-2015 27 მარტის. სადაც დავის საგანი იყო

---

<sup>57</sup> გულაშვილი.ნ, საკორპორაციო სამართალი, თბ.2012. გვ.74

<sup>58</sup> Dodd, The Evolution of Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1354.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აღნიშნულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რომელიც გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა შემდეგნაირად: მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-91 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები. კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, მე-7 პუნქტის თანახმად კი ყველა გადაწყვეტილება რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. მე 52 პუნქტის თანახმად თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს-ის წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად შპს-ში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება საწარმოს სახელით, გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში საწარმოს სახელით.<sup>59</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დირექტორი საწარმოსთვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია, შესაბამისად მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასება და ამის შედეგად შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ მოვლენად სასამართლო ამბობს, რომ აღნიშნული საკითხი უნდა განხილულიყო საწარმოს 100% მქონე პარტნიორთა მონაწილეობით.<sup>60</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით და მოითხოვეს კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N-35-32, 27.03.2015

<sup>60</sup> იქვე

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, იგი თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით არ გაუარესებულა პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება დირექტორის სტატუსს და მის უფლებამოსილებას სასამართლომ თქვა, რომ დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუმღვეს კეთილსინდისიერად, ამასთან მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-91 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მოქონე პარტნიორთა მონაწილეობით. ხოლო აღნიშნული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლის არსებობა მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის.<sup>61</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებისთვის კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.<sup>62</sup>

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, ეკისრებათ თუ არა კომპანიებს პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის იმ შემთხვევაში თუ დადასტურებულია, კომპანიას აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ შეუძლია, უფლებამოსილია თუ არა სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულების ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძვლით.<sup>63</sup>

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა შემოსავლების სამსახურის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მისი მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით. საკასაციო პალატამ აღნიშნა რომ კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო განსხვავებულია კომპანიის ვალდებულებებისთვის მათი პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძვლები.

საკასაციო პალატამ განმარტა რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე -3

<sup>61</sup> იქვე

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1307-1245-2014 და საქმე N ას-1158-1104-2014.

<sup>63</sup> იქვე

მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად შპს-ის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. საკასაციო სასამართლო თვლის რომ აღნიშნული ნორმა ფართოთ განიმართება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორატიული ფორმის ბოროტად გამოყენებას. არამედ თავად შეზღუდვის პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ ოასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მარტოოდენ სხვა ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრების კრედიტორის განზრახ შეცდომაში სეყვანით. იგი განმარტა, რომ პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შპს-ის პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას რომელიც მიზნად ისახავს გადასახადების თავის არიდებას, ან როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არაადეკვატურად შემოსავალის მაგნერირებული წყაროს დანიშნულებით. კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. საბოლოოთ საკასაციო სასამართლომ დაადგინა რომ კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც გადაუხდელი გადასახადის ძირითადი თანხის, ისე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საურვაგის ნაწილში კომპანიის ვალდებულების მიმართ სუბსიდიური, ხოლო ერთმანეთის მიმართ სოლიდარული.

---

<sup>64</sup> იქვე

## თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით და აღნიშნულის ანალიზით. დასაწყისში სწორედ გამოყენებულ ლიტელატურას მიმოვიხილავთ. შემდეგ თავი ეხება ისტორიულ ასპექტს განხილულია გზა რომელიც კანონმდებლობამ დღევანდელი დროამდე გაიარა შპს-ის მმართველობასა და წარმომადგენლობის თვალსაზრისით.

მომდევნო თავები ეხება აქტუალურ საკითხებს შპს-ის მმართველობასა და წარმომადგენლობაში არსებულ მნიშვნელოვან და საყურადღებო ასპექტებს, ჩამოყალიბებულია განსახილველი საკითხის ცნების ისტორია, მოყვანილია შედარება ქართულ და უცხოურ კანონმდებლობას შორის, კონკრეტულად საუბარია მსგავსებასა და განსხვავებებზე, განხილულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი იმ ყველა ასპექტში რომელიც უშუალოდ შეეხება შპს-ში მმართველობა და წარმომადგენლობის საკითხებს. მოყვანილია კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებები და საუბარია ღრმად იმ სამართლებრივ პრაქტიკაზე რაც დამკვიდრებულია ჩვენს თუ უცხო ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში.

როგორც ზემოთ განხილულ თავებში დავინახეთ დგას არაერთი ისეთი საკითხი რაც დასაზუსტებელი და აღმოსაფხვრელია საკანონმდებლო სივრცეში. საინტერესო მსჯელობაა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად კარგი ფაქტია ის რომ კანონი მხარეებს აძლევს დიდ თავისუფლებას დიდძალი რივი საკითხები მოაწესრიგონ შეთანხმებით ე.წ წესდებით ან ხელშეკრულებით ეს რა შემთხვევაშია სარგებლიანი და სასამართლო თუ სხვა სახის პრაქტიკა და მაგალითები გვაქვს მაშინ როცა მხარეები ზედაპირულად აწესრიგებენ გარკვეულ საკითხებს და ამის გამო შემდეგ დგებიან გადაუჭრელი პრობლემის წინაშე, რამდენად გამართლებულია ამ საკითხთან მიმართებაში კანონინი ლოიალური დამოკიდებულება.

მეტად საინტერესო საკითხია შპს-ის პასუხისმგებლობის საკითხი იმ ასპექტში რომ შპს მხოლოდ თავისი ქონებით აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე. საინტერესო მსჯელობაა მოცემოლი აღნიშნულთან დაკავშირებით და განხილულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით.



## დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საკორპორაციო სამართლის როლი. იქედან გამომდინარე რომ მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა მისი გამოყენების მიმდინარეობის პროცესში მრავალი ხარვეზი გახდა თვალსაჩინო. აშკარაა რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი კანონში ან არაა ასახული ან ზედაპირულადაა მოწესრიგებული და საჭიროებს დაკონკრეტებას და უფრო ფართოდ გაშლას. ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთი გამოხატული პრობლემა ისიცაა რომ იგი არაერთი ნორმა

გადოდებულია სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობიდან რომელმაც ადაპტაცია ძნელად განიცადა ან საერთოდ ვერ მოერგო ქართულ სინამდვილეს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა რომ არსებობს უამრავი სასამართლო პრაქტიკა შპს-ს პასუხისმგებლობის საკითხის კრედიტორების წინაშე მაინც დასაკონკრეტებელი და უფრო ფართოდ გასაშლელია აღნიშნული საკითხი რადგან აღნიშნული პრაქტიკა არაერთგვაროვანია და ცალსახად არ გვაძლევს ერთი მიმართულებით ნორმის შინაარსის გაგებას, ასევე ჩნდება კითხვა პარტნიორთა გარიცხვის საკითხთან დაკავშირებით.

არის რიგი საკითხები რაზეც კანონი ზოგადი ხასიათის ნორმებს გვაძლევს და ეს იწვევს გაუგებრობას.

მიუხედავად ცვლილებებისა დირექტორის უფლება მოვალეობის საკითხში და მისი დამოუკიდებლობისა მაინც დარჩა კანონში ხარვეზი თუ კონკრეტულად რა სახით აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭო დირექტორი ნაბიჯებს მმართველობის სფეროში რომელსაც დგავს.

ორაზროვნანია და არაერთგვაროვანი პრაქტიკაა დირექტორის კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით, კანონი კონკრეტულად არ საუბრობს იმ საკითხზე თუ სად იწყება და სად მთავრდება დირექტორის კეთილსინდისიერება, არ აქცევს ერთგვარ ჩარჩოში და ამიტომ ყველა შემთხვევა ცალ ცალკე შეფასებას ითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ამ საკითხის მოწესრიგება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ მიუხედავად იმისა ათწლეულებია არსებობს საკორპორაციო სამართალი მსოფლიოში და ის მეტად აქტუალურად გამოიყენება მაინც არსებობს რიგი საკითხები რომელიც მოწესრიგებას დაკონკრეტებას და ნორმის უფრო გაშლას მოითხოვს, ქართულ კანონმდებლობაშიც არაერთი ხარვეზია მმართველობასა და წარმომადგენლობის საკითხთან მიმართებაში თუმცა აქვე აღნიშნავ იმას რომ საკორპორაციო სამართალმა დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ნელნელა აღმოიფხვრა რიგი პრობლემური საკითხები ამიტომ მჯერა ნაშრომში აღნიშნული პრობლემური საკითხებიც განიცდის ცვლილებას და მოწესრიგდება უახლოეს მომავალში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატონიშვილი დ., სამართლის ინსტიტუტი, ლადო ჭანტურას 50 წლისთავისთვის მიძღვნილი, თბ., 2013;
2. ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი პირველი, თბ., 2010;
3. ბაქაქური ნ., გელტერი მ; ცერცვაძე ლ; ჯუღელი გ; საკორპორაციო სამართალი; თბ;2009;
4. გულიაშვილი ნ; საკორპორაციო სამართალი თბ;2011;

5. ელიზბარაშვილი ნ; ნავროზაშვილი ნ; თანამედროვე საკორპორაციო და პრაქტიკული საკითხები; თბ;2009;
6. მიგრიაული ს; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სამოქალაქო სამართალი, თბ;1999;
7. მიგრიაული რ; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გაკოტრების სამართლებრივი ასპექტები; თბ;2004;
8. მიგრიაული რ; ურთიერთობის წარმოშობა და დასრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და დირექტორს შორის; თბ; 2003;
9. ცერცვაძე ლ; დირექტორის მოვალეობების კომპანიების შერწყმისას და საკონსტიტუციო პაკეტის გასხვისებისას; თბ;2016;
10. ჭანტურია ლ; ნინიძე თ; მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები; თბ.,1996;
11. ჭანტურია ლ; კანონი მეწარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში; თბ., 1996;
12. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა ხელმძღვანელობა საკორპორაციო სამართალში; თბ;2006;

### უცხოური ლიტერატურა:

1. Baumbach/Hueck, Gesetz, 15. Aufl. Munchen 1988,
2. GmbHg, 13.3
3. Dodd, The Evolution of Liability in American Industries, 61 Harv. L. Rev. 1372-1373, 1948 1354

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N3k/350-01, 30.03.2001;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N2b/6571-14;
3. (მითითება კეთდება საქმეზე – SCG N3k-1492-02, მარტი, 19, 2003), საქმე Nas-495-471-2013;
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/543, ვებგვერდი, 14.02.2014;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/543, 14.02.2014;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N-35-32, 27.03.2015;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nas-1307-1245-2014 და საქმე N ას-1158-1104-2014;

### ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;
3. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994;
4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994

### ვებ. გვერდები:

1. [bm.ge/ka](http://bm.ge/ka)

